



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.12.20 წლის №131/19¹

გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიგა კორკოტაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

მომჩივან მხარესა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის არსებობს მრავალწლიანი სამოქალაქო დავა უძრავ ქონებაზე. მომჩივანის პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატს წარმოადგენს მოპასუხეს ეთიკის კომისიაში. 2016 წლის 15 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მომჩივანი მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანას მოჰყვამოპასუხე ადვოკატის მხრიდან მითითება, თითქოს მომჩივანმა მხარემ მოპასუხე მხარის მარწმუნებელს ცივი იარაღით მიაყენა ფიზიკური დაზიანება (დაჭრა). ამასთანავე, ადვოკატი მომხდარი ინციდენტის შეფასებისას დაეყრდნო მისი მარწმუნებლის სიტყვებს. აღნიშნულს მოჰყვამომჩივანი მხარის ხმამაღალი შემახილი ადვოკატისადმი, რომ მას დააჭერინებდა ცილისწამების გამო. შესაბამისად, ამ წესრიგისდამრღვევი ქმედების გამო მას დაატოვებინეს სხდომის დარბაზი, ხოლო ამ ინციდენტის შემდეგ გარკვეული პერიოდი პროცესი ისევ გაგრძელდა. მოპასუხე ადვოკატი მარწმუნებელს თითქმის 10 წელი უწევდა საადვოკატო მომსახურებას.

პროცესუალური ისტორია

მომჩივანმა მხარემ მიმართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა მოპასუხე მხარის დისციპლინირება. აღნიშნულის შემდეგ, მომჩივანი მხარე აღარ მონაწილეობდა ეთიკის კომისიის სხდომებში.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა სახეზე იყო თუ არა ადვოკატის მხრიდან სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა პატივისცემისა და კანონიერების პრინციპების დარღვევის შემთხვევები (პროცესის მონაწილეთა პატივისცემის პრინციპი - ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 5(გ), აპეკ-ის მუხლი 9.4; კანონიერების პრინციპი - ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 6.1). ეთიკის კომისია მიუთითებს ადვოკატებს პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულებაზე არამარტო სასამართლოში, არამედ ნებისმიერ სიტუაციაში. ამასვე მოწმობს ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლო (R.S and Z.v Switzerland - განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება), რომლის თანახმადაც, ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები არ რთავს ნებას, გააკეთოს შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა. უდავოა, რომ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებები ადვოკატის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევაზე მიუთითებს. ამიტომაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ადვოკატის გამონათქვამები არის თუ არა ცილისმწამებლური, რასაც ადგილი მაშინ ექნება, როდესაც ადვოკატი აშკარად მცდარ ფაქტებს იყენებს საპირისპირო მხარის დისკრედიტაციისათვის. აღნიშნულ შემთხვევას კი ამ საქმეში ადგილი არ ჰქონია, რადგანაც, ის იმეორებდა თავისი მარწმუნებლის სიტყვებს მომჩივანი მხარის მხრიდან დანით დაჭრის ნაწილში. შესაბამისად, მან გააჟღერა მარწმუნებლის სიტყვები, ამის მიზანი კი სასამართლოსათვის დავის წინარე ისტორიის გაცნობა იყო, რათა მას ნათლად აღექვა სიტუაციის სირთულე და პრობლემატურობა. შესაბამისად, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთანავე,

ვინაიდანაც თითქმის უკვე 10 წელი ადვოკატი იცავდა თავისი მარწმუნებლის ინტერესებს, მიანიშნებს მათ შორის დაცვის შეთანხმებულ სტრატეგიას, რაც პროფესიული და ეთიკური ვალდებულებების დაცვასთან ერთად ადვოკატის ერთ-ერთ უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ დასაცავად. ხოლო რაც შეეხება, მომჩივანი მხარის აპელირებას იმაზე, რომ ადვოკატი მასზე ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, აღნიშნული არ დგინდება მომჩივანი მხარის მიერ წარდგენილი მასალებით, ამასთანავე კოლეგიამ არაერთხელ მისცა მომჩივანს მეტი ფაქტის წარმოდგენის შესაძლებლობა, რაც მან არ განახორციელა. შესაბამისად, საპროცესო კომისიამ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ვერ დაინახა მოთხოვნის ნაწილში ადვოკატის მხრიდან ეთიკური ვალდებულებების დარღვევა.

დასკვნა

რადგანაც ადვოკატი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებული დაცვის სტრატეგიით, ამასთანავე მისი ინტერესების საუკეთესოდ დასაცავად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას და არ ეწეოდა განზრახ მცდარი ფაქტების წარმოდგენას, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ვერ დასტურდება ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილეთა პატივისცემისა და კანონიერების პრინციპის დარღვევა.